<u>გადაწყვეტილება</u> მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციის გაგრძელების შესახებ კონფლიქტის ზონაში აფხაზეთი, საქართველო

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაგრძელდეს მშვიდობის მხარდაჭერის კოლექტიური ძალების ყოფნის ვადა და მანდატი კონფლიქტის ზონაში, აფხაზეთი, საქართველო, 2002 წლის 31 დეკემბრამდე ან იმ დრომდე, სანამ კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე გამოთქვამს აზრს ოპერაციის შეწყვეტის შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა დსთ წევრი-სახელმწიფოების სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციის შტაბის მონაწილეობით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების დროებით ოპერატიულ სამუშაო ჯგუფთან ერთად და საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან თანამშრომლობით გააგრძელოს დსთ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 2002 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების _ აფხაზეთში, საქართველო, მშვიდობის მხარდაჭერის კოლექტიური ძალების ყოფნის შესახებ _ მე-3 პუნქტში მითითებული საკითხების დამუშავება.

ინფორმაცია დასკვნებისა და წინადადებების შესახებ წარმოდგენილ იქნას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მორიგ სხდომაზე.

3. ამ დასკვნების გათვალისწინებით დსთ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების მორიგი სხდომის განსახილველად შეიტანოს წინადადებები ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მათ ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო დაბრუნებისათვის დამატებითი ღონისძიებების შემუშავების შემდგომი ნაბიჯების შესახებ, აგრეთვე აფხაზეთში, საქართველო, მშვიდობის მხარდაჭერის კოლექტიური ძალების მანდატში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

4. მიაწოდოს ინფორმაცია გაეროს უშიშროების საბჭოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ამ გადაწყვეტილების შესახებ.

შესრულებულია რუსულ ენაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს საპროცედურო (პროცედურების) წესების მე-20 წესის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით. დედანი ინახება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც ამ გადაწყვეტილების ხელმომწერ თითოეულ სახელმწიფოს მის დამოწმებულ ასლს გაუგზავნის.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელით: ჰ. ალიევი,
2002 წლის 3 სექტემბერრი
სომხეთის რესპუბლიკის სახელით: რ. ქოჩარიანი
2002 წლის 2 აგვისტო
ბელორუსის რესპუბლიკის სახელით: ა. ლუკაშენკო
2002 წლის 30 ივლისი
საქართველოს სახელით: ე. შევარდნაძე
2002 წლის 26 ივლისი
ყაზახეთის რესპუბლიკის სახელით: ნ. ნაზარბაევი
2002 წლის 2 აგვისტო
ყირგიზეთის რესპუბლიკის სახელით: ა. აკაევი
2002 წლის 13 აგვისტო
რუსეთის ფედერაციის სახელით: ვ. პუტინი
2002 წლის 2 ოქტომბერი
ტაჯიკეთის რესპუბლიკის სახელით: ე. რახმონოვი
2002 წლის 2 აგვისტო
უზბეკეთის რესპუბლიკის სახელით: ი. კარიმოვი
2002 წლის 26 ივლისი

(www. cis.minsk)